



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს
 2014 წლის 16 ივლისის
 № 1234 დადგენილებით

მოდულიზებულია
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს
 2018 წლის 2 აპრილის
 № 01-05-04/95 დადგენილებით

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა

Business Organization and Management

ფაკულტეტი

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი

Faculty of Transportation and Mechanical Engineering

პროგრამის ხელმძღვანელი

პროფესორი ჯამლეტ ჯანჯღავა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
 (Master of Business administration)

მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 120 კრედიტის შესრულების შემთხვევაში

სწავლების ენა

ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები). გამოცდების საკითხები/ტესტები განთავსდება სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის ვებგვერდზე <http://www.gtu.ge/study/index.php> გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე. პროგრამაზე ჩაირიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

პროგრამის აღწერა

პროგრამა შედგენილია ECTS სისტემის შესაბამისად ერთი კრედიტი უდრის 25 საათს. ამ საათების რაოდენობაში შედის როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. კრედიტების განაწილება წარმოდგენილია სასწავლო გეგმაში.

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა "ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა" მოცულობა შეადგენს 120 კრედიტს. პროგრამაში წარმოდგენილია უცხოური ენების სასწავლო კურსების (10 კრედიტი), სპეციალური სასწავლო კურსების (50 კრედიტი ძირითადი და 15 კრედიტი არჩევითი სამაგისტრო თემატიკა, რომელიც პროგრამაში წარმოდგენილია 15 კრედიტიანი ორი სამაგისტრო თემატიკის „ტრანსპორტის მენეჯმენტი“ და „მანქანათმშენებლობის მენეჯმენტი“ სახით, სულ 30 კრედიტი) და კვლევითი კომპონენტის (45 კრედიტი) სახით.

ძირითადი სპეციალობის 50 კრედიტის გავლის შემდეგ სტუდენტს შეუძლია აირჩიოს სამაგისტრო თემატიკიდან ერთ-ერთი 15 კრედიტის მოცულობით.

კვლევითი კომპონენტი წარმოდგენილია სამაგისტრო კვლევის პროექტი /პროსპექტუსი (I სემესტრი, 5 კრედიტი), თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოკვიუმის (II სემესტრი, 10 კრედიტი) და სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა (IV სემესტრი, 30 კრედიტი) სახით, შეფასება ხორციელდება აკადემიური საბჭოს დადგენილების N1941(24.02.2016) შესაბამისად.

ერთი წლის სასწავლო პროცესი (2 სემესტრი, 20-20 კვირა, ჯამში 40 კვირა) გაწერილია შემდეგნაირად: თითოეულ სემესტრში 15 კვირა ეთმობა სწავლებას, VIII კვირა - შუალედურ გამოცდებს, ხოლო XVIII, XIX, XX, XXI კვირები - გამოცდებსა და დამატებით გამოცდებს. დამატებითი გამოცდები ტარდება ძირითადი გამოცდის შემდეგ მინიმუმ 10 დღიანი შუალედით (საწარმოო პრაქტიკა ტარდება დასკვნითი გამოცდების შემდეგ).

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანი შეესაბამება დაწესებულების მისიას და ორიენტირებულია დასაქმების ბაზრის დღევანდელი მოთხოვნების შესაბამისად მოამზადოს კვალიფიციური, თეორიული ცოდნით და პრაქტიკული უნარით აღჭურვილი, შემოქმედებითი, მეცნიერული კვლევის უნარის მქონე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი არჩეული სამაგისტრო თემატიკის მიხედვით (სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის, ზოგადად სამეწარმეო ბიზნესის თავისებურებებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით), რომელიც შეძლებს ფირმების მენეჯმენტის წარმატებით გაცნობიერებას და განხორციელებას; ბიზნეს-საქმიანობის სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენას, მათ გააზრებას, მათზე მომქმედი ფაქტორების მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენას და ამის საფუძველზე სწორი მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებას, ბიზნეს-პროექტების და სტრატეგიების შემუშავებას.

პროგრამის მიზანი პასუხობს საქართველოს ეკონომიკის განვითარების თანამედროვე გამოწვევებს, კერძოდ:

ა) საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა ქმნის ხელსაყრელ პირობებს ტრანსპორტის განვითარებისათვის. აქ შექმნილი დამატებითი ღირებულება უკვე იკავებს 11 %-იან ნიშნულს ქვეყნის მშპ-ში და მოსალოდნელია მისი კიდევ უფრო გაზრდა. ტრანსპორტის თითქმის ყველა სახე: სარკინიგზო, საავტომობილო, საზღვაო, საჰაერო და მილსადენი, დინამიურად ვითარდება და ისინი მოითხოვენ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს, უმეტესწილად, მენეჯმენტის მიმართულებით.

ბ) მანქანათმშენებლობა დღეისათვის ქვეყანაში სავალალო მდგომარეობაშია, თუმცა მაინც ფუნქციონირებს რამდენიმე საწარმო, მაგალითად, „დელტა“, „ელმავალმშენებელი“ და სხვ.. ინდუსტრიალიზაციის გზაზე მანქანათმშენებლობის სექტორის განვითარება პრიორიტეტულია.

სწავლის შედეგები და კომპეტენტურობები (ზოგადი და დარგობრივი)

ცოდნა და გაცნობიერება:

- აქვს მენეჯმენტის (ტრანსპორტის მენეჯმენტი, მანქანათმშენებლობის მენეჯმენტი) დარგის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს;

- აქვს აგრეთვე დარგის კვლევის სპეციფიკური მეთოდების სიღრმისეული ცოდნა;
- მენეჯმენტში, მარკეტინგში, ფინანსებში არსებული კონკრეტული პრობლემების გაცნობიერება;
- აცნობიერებს დარგში ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს;
- აქვს მენეჯმენტის სხვადასხვა ქვედარგში (ტრანსპორტის მენეჯმენტი, მანქანათმშენებლობის მენეჯმენტი), არსებული თეორიული პოსტულატების გაცნობიერების უნარი.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

- ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება;
- კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;
- მენეჯმენტის დარგში (ტრანსპორტის მენეჯმენტი, მანქანათმშენებლობის მენეჯმენტი) მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება და კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტა;

დასკვნის უნარი:

- რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება;
- მენეჯმენტის დარგის უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი;
- მენეჯმენტის სფეროში რთული და არასრული ინფორმაციების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება;
- მენეჯმენტის სფეროში ცალკეული პროცესების შესწავლა-განზოგადების საფუძველზე ზოგადი დებულებებისა და დასკვნების ჩამოყალიბება;

კომუნიკაციის უნარი:

- თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით;
- იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება;
- იდეების, საპროექტო წინადადებების, პროექტის მიმდინარეობის თუ საბოლოო ანგარიშის დეტალური ლოგიკურად გამართული კონსტრუქციების წერილობით მომზადება, პროექტების პრეზენტაციის მომზადება.

სწავლის უნარი:

- სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე;
- მენეჯმენტის (ტრანსპორტის მენეჯმენტი, მანქანათმშენებლობის მენეჯმენტი) დარგში პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების გამდიდრების მიზნით, საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა აკადემიურ ან საკვალიფიკაციო სწავლების გარემოში;
- მსოფლიოს სხვადასხვა ბიბლიოთეკებში დაცული და ინტერნეტით გავრცელებული უახლესი მიღწევების გაცნობა-შესწავლა;
- საკუთარ პროფესიულ სფეროში შეუძლია აწარმოოს დაქვემდებარებული პერსონალის კონსულტაცია.

ღირებულებები:

- საზოგადოებრივი პრინციპებისა და ფასეულობების ცოდნა;
- ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ფასეულობების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა. პროფესიული ღირებულებების, ეთიკისა და მორალის მიღებული ნორმების დაცვა;
- ფასეულობებისადმი ყურადღების გამახვილება და ეთიკისა და მორალის მიღებული ნორმების დაცვა;

სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლება-სწავლის) მეთოდები

ლექცია სემინარი (ჯგუფში მუშაობა) პრაქტიკული ლაბორატორიული პრაქტიკა
 საკურსო სამუშაო/პროექტი სამაგისტრო ნაშრომი კონსულტაცია დამოუკიდებელი მუშაობა

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლებს/წავლის მეთოდების ქვემოთ მოცემული აქტივობები, რომელიც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში):

(დისკუსია, დებატები, პრეზენტაცია, ჯგუფური მუშაობა და სხვ.)

სწავლების პროცესში რომელიმე კონკრეტული საკითხის შესწავლა შეუძლებელია მხოლოდ ერთი მეთოდით. პედაგოგს სწავლების პროცესში უხდება სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, ასევე ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. სწავლების პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებს. მათგან საჭირო მეთოდს, კონკრეტული მიზნიდან და ამოცანიდან გამომდინარე, შეარჩევს პედაგოგი.

1. **დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

2. **თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება** – იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ თვითონ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. ჯგუფის თითოეული წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

3. **ჯგუფური (collaborative) მუშაობა** – ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

4. **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს კონკრეტულ პრობლემას.

5. **შემთხვევების შესწავლა (Case study)** – პედაგოგი სტუდენტებთან ერთად განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს და ისინი ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს. მაგალითად, საინჟინრო უსაფრთხოების სფეროში ეს შეიძლება იყოს კონკრეტული ავარიის ან კატასტროფის განხილვა, პოლიტიკის მეცნიერებაში - კონკრეტული, მაგალითად, ყარაბახის პრობლემის (სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის) ანალიზი და ა. შ.

6. **გონებრივი იერიში (Brain storming)** – ეს მეთოდი გულისხმობს თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი განაპირობებს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. მეთოდის გამოყენება ეფექტიანია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის განსაზღვრა შემოქმედებითი კუთხით;

დროის გარკვეულ მონაკვეთში საკითხის ირგვლივ მსმენელთა მიერ გამოთქმული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე);

- შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად;

- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ გასაზღვრული კრიტერიუმებით;

- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება დასმულ საკითხს;

- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

7. **დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მოვაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი

გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს.

8. **ანალიზის მეთოდი** – გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

9. **სინთეზის მეთოდი** – გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

10. **ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი**- ამ მეთოდს მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში პედაგოგი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ.

11. **წერითი მუშაობის მეთოდი** – რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და სხვ.

12. **ლაბორატორიული მეთოდი** – გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ცდების დაყენება, ვიდეომასალის, დინამიკური ხასიათის მასალის ჩვენება და სხვ.

13. **პრაქტიკული მეთოდები** – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს. ამ შემთხვევაში სტუდენტი შექმნილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ მოქმედებას, მაგალითად, საწარმოო და პედაგოგიური პრაქტიკა, სავლეე მუშაობა და სხვ.

14. **ახსნა-განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პედაგოგს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

15. **პროექტის შემუშავება და პროზენტაცია** – პროექტზე მუშაობისას სტუდენტი რეალური პრობლემის გადასაჭრელად იყენებს შექმნილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. პროექტით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებლად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად, კორექტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ფარგლებში ან რამდენიმე საგნის ფარგლებში (საგანთა ინტეგრაცია); დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დასაქმების სფერო

კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს:

- სახელმწიფო, სამთავრობო დაწესებულებებში და უწყებებში (სამინისტროები, დეპარტამენტები

და ა.შ.) დარგობრივი სპეციალიზაციის შესაბამისად;

- სახელმწიფო ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დარგობრივი სპეციალიზაციის შესაბამისად;
- ეკონომიკის ნებისმიერი სფეროს სახელმწიფო სექტორში და კერძო (ადგილობრივ და უცხოურ) კომპანიებში (ფირმები, კორპორაციები, სადაზღვევო და საშუამავლო-სადისტრიბუციო კომპანიები, საინვესტიციო ფონდები, საექსპორტო-საიმპორტო სააგენტოები და სხვა) სპეციალიზაციის მიმართულებების შესაბამისად;
- სამეცნიერო და ანალიტიკურ სტრუქტურებში; საერთაშორისო ორგანიზაციებში;
- მრეწველობის სხვადასხვა დარგებში;
- სატრანსპორტო-საექსპედიტორო სფეროში;
- მანქანათმშენებლობასა და ტექნიკური მომსახურების ფირმებში;
- საფინანსო-საბანკო სისტემაში;
- საწარმოებისა და ორგანიზაციების საფინანსო სამსახურებში და ა.შ.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამები

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია ადამიანური და მატერიალური რესურსებით.

თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 24

პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი			
			I წელი		II წელი	
			სემესტრი			
			I	II	III	IV
სავალდებულო საგნები						
1	ბიზნესკომუნიკაცია (ინგლისური)	არ გააჩნია	5			
	ბიზნესკომუნიკაცია (ფრანგული)					
	ბიზნესკომუნიკაცია (გერმანული)					
	ბიზნესკომუნიკაცია (რუსული)					
2	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური)	არ გააჩნია	5			
	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული)					
	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (გერმანული)					
	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (რუსული)					
3	საგადასახადო და საბაჟო ტექნოლოგიები		5			
4	ფინანსური მენეჯმენტი	არ გააჩნია	5			
5	მარკეტინგის მენეჯმენტი	არ გააჩნია	5			

6	საერთაშორისო ვაჭრობა	არ გააჩნია	5			
7.1	აზროვნების ეკონომიკური წესი	არ გააჩნია	5			
7.2	საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები					
7.3	გლობალიზაცია და ეროვნული ეკონომიკა: თეორია და პოლიტიკა					
7.4	ბიზნესის თანამედროვე კონცეფციები					
8	ფინანსური ანალიზი	ფინანსური მენეჯმენტი		5		
9	ადამიანური რესურსების განვითარება	მარკეტინგის მენეჯმენტი		5		
10	ბიზნესის ანალიზის რაოდენობრივი მეთოდები	ფინანსური მენეჯმენტი		5		
11	ტექნოლოგიური და ინოვაციური მენეჯმენტი	მარკეტინგის მენეჯმენტი		5		
12	ლოჯისტიკა	მარკეტინგის მენეჯმენტი			5	
სამაგისტრო პროგრამა „ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა“. თავისუფალი კომპონენტები „ტრანსპორტის მენეჯმენტი“. საგნობრივი დატვირთვა						
13	რისკის და დაზღვევის მენეჯმენტი ტრანსპორტზე	ბიზნესის ანალიზის რაოდენობრივი მეთოდები			5	
14	საწარმოო პრაქტიკა ტრანსპორტის მენეჯმენტში	ფინანსური მენეჯმენტი საგადასახადო და საბაჟო ტექნოლოგიები ფინანსური ანალიზი			5	
15	ახალი ტექნიკის ეკონომიკური ეფექტიანობა ტრანსპორტზე	ტექნოლოგიური და ინოვაციური მენეჯმენტი			5	
სამაგისტრო პროგრამა „ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა“. თავისუფალი კომპონენტები „მანქანათმშენებლობის მენეჯმენტი“. საგნობრივი დატვირთვა						
16	ოპერაციული მენეჯმენტი მანქანათმშენებლობაში	ტექნოლოგიური და ინოვაციური მენეჯმენტი			5	
17	საწარმოო პრაქტიკა მანქანათმშენებლობის მენეჯმენტში	ფინანსური მენეჯმენტი საგადასახადო და საბაჟო			5	

		ტექნოლოგიები ფინანსური ანალიზი				
18	პროექტების მენეჯმენტი მანქანათმშენებლობაში	მარკეტინგის მენეჯმენტი			5	
სემესტრში			30	25	20	
სულ:			75			
კვლევითი კომპონენტი:						
	სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი	არ აქვს		5		
	თეორიული /ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი	სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროს პექტუსი			10	
	სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა	წინამდებარე პროგრამით გათვალისწინე ბული ყველა სასწავლო და კვლევითი კომპონენტი				30
სულ სემესტრში:			30	30	30	30
სულ წელიწადში:			60		60	
სულ:			120			

სწავლის შედეგების რუკა

№	საგანი	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1	ბიზნესკომუნიკაცია (ინგლისური)						
	ბიზნესკომუნიკაცია (ფრანგული)						
	ბიზნესკომუნიკაცია (გერმანული)	X	X		X		X
	ბიზნესკომუნიკაცია (რუსული)						
2	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური)						
	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული)	X	X	X			X
	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (გერმანული)						

	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (რუსული)						
3	საგადასახადო და საბაჟო ტექნოლოგიები	X	X	X	X		X
4	ფინანსური მენეჯმენტი	X	X	X	X		X
5	მარკეტინგის მენეჯმენტი	X	X	X	X		X
6	საერთაშორისო ვაჭრობა	X	X			X	X
7.1	აზროვნების ეკონომიკური წესი	X	X			X	X
7.2	საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები	X	X			X	X
7.3	გლობალიზაცია და ეროვნული ეკონომიკა: თეორია და პოლიტიკა	X	X			X	X
7.4	ბიზნესის თანამედროვე კონცეფციები	X	X		X	X	X
8	ფინანსური ანალიზი	X	X			X	
9	ადამიანური რესურსების განვითარება	X	X				X
10	ბიზნესის ანალიზის რაოდენობრივი მეთოდები	X	X		X	X	X
11	ტექნოლოგიური და ინოვაციური მენეჯმენტი	X	X		X	X	
12	ლოჯისტიკა	X	X	X		X	X

სამაგისტრო პროგრამა „ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა“. თავისუფალი კომპონენტები „ტრანსპორტის მენეჯმენტი“. საგნობრივი დატვირთვა

13	რისკის და დაზღვევის მენეჯმენტი ტრანსპორტზე	X	X	X		X	X
14	საწარმოო პრაქტიკა ტრანსპორტის მენეჯმენტში	X	X	X	X	X	X
15	ახალი ტექნიკის ეკონომიკური ეფექტიანობა ტრანსპორტზე	X	X	X	X		X

სამაგისტრო პროგრამა „ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა“. თავისუფალი კომპონენტები „მანქანათმშენებლობის მენეჯმენტი“. საგნობრივი დატვირთვა

16	ოპერაციული მენეჯმენტი მანქანათმშენებლობაში	X	X	X	X		X
17	საწარმოო პრაქტიკა მანქანათმშენებლობის მენეჯმენტში	X	X	X	X	X	X
18	პროექტების მენეჯმენტი მანქანათმშენებლობაში	X	X		X	X	X

კვლევითი კომპონენტი:

	სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი	X	X	X	X	X	X
	თეორიული /ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი	X	X	X	X	X	X
	სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა	X	X	X	X	X	X

პროგრამის სასწავლო გეგმა

№	საგნის კოდი	საგანი	ESTS კრედიტი/საათი	საათი								
				ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკურსო სამუშაო/პროექტი	შუასემესტრული გამოცდა	დასვენებითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა
1	LEH12412G1	ბიზნესკომუნიკაცია (ინგლისური)	5/125	15		30				1	1	78
	LEH12212G1	ბიზნესკომუნიკაცია (ფრანგული)	5/125	15	30					1	1	78
	LEH12612G1	ბიზნესკომუნიკაცია (გერმანული)	5/125	15	30					1	1	78
	LEH12812G1	ბიზნესკომუნიკაცია (რუსული)	5/125	15	30					1	1	78
2	LEH12512G1	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური)	5/125	15		30				1	1	78
	LEH12312G1	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული)	5/125	15	30					1	1	78
	LEH12712G1	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (გერმანული)	5/125	15	30					1	1	78
	LEH12912G1	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (რუსული)	5/125	15	30					1	1	78
3	BUA49305G1	საგადასახადო და საბაჟო ტექნოლოგიები	5/125	15	30					1	1	78
4	BUA29105G1	ფინანსური მენეჯმენტი	5/125	15	30					1	1	78
5	BUA77705G1	მარკეტინგის მენეჯმენტი	5/125	15	30					1	1	78
6	BUA78505G1	საერთაშორისო ვაჭრობა	5/125	15	30					1	1	78
7.1	SOS57205G1	აზროვნების ეკონომიკური წესი	5/125	15	30					1	1	78
7.2	SOS57305G1	საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები										
7.3	SOS57405G1	გლობალიზაცია და ეროვნული ეკონომიკა: თეორია და პოლიტიკა										
7.4	BUA77805G1	ბიზნესის თანამედროვე კონცეფციები										
8	BUA29205G1	ფინანსური ანალიზი	5/125	15	30					1	1	78
9	BUA77905G1	ადამიანური რესურსების განვითარება	5/125	15	30					1	1	78
10	BUA78005G1	ბიზნესის ანალიზის რაოდენობრივი მეთოდები	5/125	15	30					1	1	78
11	BUA78105G1	ტექნოლოგიური და ინოვაციური მენეჯმენტი	5/125	15	30					1	1	78

12	BUA78205G1	ლოჯისტიკა	5/125	15	30				1	1	78
სამაგისტრო პროგრამა „ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა“. თავისუფალი კომპონენტები „ტრანსპორტის მენეჯმენტი“. საგნობრივი დატვირთვა											
13	BUA78305G1	რისკის და დაზღვევის მენეჯმენტი ტრანსპორტზე	5/125	15		15			1	2	77
14	BUA78405G1	საწარმოო პრაქტიკა ტრანსპორტის მენეჯმენტში	5/125				45		2	2	76
15	SOS57105G1	ახალი ტექნიკის ეკონომიკური ეფექტიანობა ტრანსპორტზე	5/125	15	30				1	1	78
სამაგისტრო პროგრამა „ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა“. თავისუფალი კომპონენტები „მანქანათმშენებლობის მენეჯმენტი“. საგნობრივი დატვირთვა											
16	BUA78605G1	ოპერაციული მენეჯმენტი მანქანათმშენებლობაში	5/125	15		15		15	1	2	77
17	BUA78705G1	საწარმოო პრაქტიკა მანქანათმშენებლობის მენეჯმენტში	5/125				45		2	2	76
18	BUA78805G1	პროექტების მენეჯმენტი მანქანათმშენებლობაში	5/125	15		30			1	1	78

პროგრამის ხელმძღვანელი

ჯამლეტ ჯანჯღავა

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

მანანა მოისწრაფიშვილი

ფაკულტეტის დეკანი

ოთარ გელაშვილი

შეთანხმებულია

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

ირმა ინაშვილი

მიღებულია

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე, ოქმი №7, 26.03.2014წ.

მოდიფიცირებულია

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე ოქმი N4, 30 მარტი 2018 წელი.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

ოთარ გელაშვილი